ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N222

(გამარტივებული შესყიდვა cpv 79954000 წვეულების ორგანიზება)

ქ. ფოთი „ 28 " სექტემბერი 2015 წ.

ერთის მხრივ

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"ს/კ 215082764.

მისამართი: ქ. ფოთი დ. თავდადებულის ქუჩა N 93.

საბანკო რეკვიზიტები: „სახელმწიფო ხაზინა " ბანკის კოდი: TRESGE22 ა/ა: 707247519

დირექტორი: რევაზ ბაბილუა. (შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ,

მიმწოდებელი - ი/მ „ირმა გვალია" რესტორანი "კვიპაროზი" ს/კ 62006026719.

იურ. მისამართი: ქ. ფოთი. დ. აღმაშენებლის ქ. N 52;

საბანკო რეკვიზიტი: სს „პროკრედიტ ბანკი" ბანკის კოდი: ბ/კ MIBGGE22; ა/ა GE43PC0103600100013177;

სახით შემდგომში "მიმწოდებელს" შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1„მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2015 წლის 28 სექტემბერს უზრუნველყოს რესტორან შ.პ.ს. "კვიპაროზში" "ოდესის სახელმწიფო ეკოლოგიური უნივერსიტეტი"-ს წარმომადგენელებისათვის:

1) ოლეგ გრუშევსკი – სამხედრო მომზადების კათედრის უფროსი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

2) ალექსანდრ ეშანუ – სამხედრო მომზადების კათედრის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი;

3) ნატალია მიშენკო – გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, სამხედრო მომზადების კათედრის დოცენტი.

4) რაისა გავრილუკ – გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ოკეანოლოგიის და საზღვაო ბუნებისგამოყენების კათედრის დოცენტი.

და სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"–ს თანამშრომლებისათვის. სულ ექვს პერსონაზე წვეულების ორგანიზება – ვახშამი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 250.00 (ორას ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3 მომსახურების მიწოდების ვადები

3.1 შესყიდული მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს 2015 წლის 28 სექტემბერს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მოწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული ხარჯის გათვალისწინებით, მიღება–ჩაბარების აქტის და ინვოისის შესაბამისად, მიღება–ჩაბარების აქტის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში ლარში, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლი“–ს მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

ა) გაუწიოს ხარისხიანი და დროული მომსახურება შემსყიდველს.

7.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს „შემსყიდველი“–ს მიერ გამოყოფილი თანამშრომელი – მატერიალურ ტექნიკური მომმარაგებელი ზაზა მარკელია.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს „მიმწოდებლი“–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

9. სხვა პირობები

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

9.2 ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

9.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

საფუძველი : "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „ ვ“ ქვეპუნქტი. (წარმომადგენლობითი ხარჯები)

10. უფლებების გადაცემა

10.1 "მიმწოდებელმა" "შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს

შემსყიდველის მხრიდან:

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“–ს

დირექტორი: რევაზ ბაბილუა

მიმწოდებლის მხრიდან:

რესტორანი „კვიპაროზი“

ი/მ „ირმა გვალია“: ირმა გვალია